საქართველოს ბანკი
ბიზნესი

№ 0024575 „24" 01 2024

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869) (შემდგომში - **ბანკი**), როგორც იპოთეკარი, თანახმაა მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №01.19.36.014.686 (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**) (მესაკუთრე: შპს ,,სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი" (ს.კ. 208215509), დაზუსტებული ფართობი: 1174.00კვ.მ., მისამართი: ქალაქი თბილისი, რაიონი სამგორი) სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი AR1898678 განაცხადის შესაბამისად გაიცეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა (შემდგომში - **ნებართვა**) შეთანხმებული პროექტის მიხედვით და პროექტის შესაბამისად განხორციელდეს ფართების პირველადი განშლა (რეგისტრაცია) სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ზემოაღნიშნულ **იპოთეკის საგანზე ბანკის** სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნებისმიერი/ყველა უფლება(ები) (მათ შორის, როგორც არსებული, ისე სამომავლო) სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება. ამასთან, ასეთი უფლებები სრულად შენარჩუნდება/დარეგისტრირდება მათ შორის იმ უძრავ ნივთებზეც, რომელიც **იპოთეკის საგანზე** შეთანხმებული პროექტის საფუძველზე განხორციელებული/განსახორციელებელი ცვლილების შედეგად წარმოიშობა/დარეგისტრირდება.

პატივისცემით,

ნინო გერგედავა

კორპორაციული კლიენტების მომსახურების
დეპარტამენტის სექტორის უფროსი